



საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 458 2018 წლის 5 დეკემბერი ქ. თბილისი

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე „ალასანია და ბარდაველიძე საქართველოს წინააღმდეგ“ 2018 წლის 9 ოქტომბერს გამოტანილი განჩინების აღსრულებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადის დასაფინანსებლად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოუყოს 10 000 (ათი ათასი) ევროს ეკვივალენტი ლარი.

მამუკა ბახტაძე

